საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030123815629319

№ 01-443/ო **30 / დეკემბერი / 2019 წ.**

მაღალი რისკის შესაბამის ჯგუფში სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, მაღალი რისკის შესაბამის ჯგუფში სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული 30 000 (ოცდაათი ათასი) კაფსულა „ოსელტამივირი“ (შემდგომში - მედიკამენტი) გადაეცეს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში ცენტრი).

2. სამინისტროს ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 30 000 (ოცდაათი ათასი) კაფსულა „ოსელტამივირის“ გადაცემა სამინისტროს ბალანსიდან ცენტრის ბალანსზე და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბენეფიციართა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, ცენტრმა უზრუნველყოს მედიკამენტის გადაცემა მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისათვის (შემდგომში-სჯდ ცენტრი) მოთხოვნის შესაბამისად.

4. მედიკამენტის გაცემა განხორციელდეს ორსულებზე და ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV/100-ა, რეცეპტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სტაციონარულ დაწესებულებებში მოთავსებული ბენეფიციარების მედიკამენტით უზრუნველყოფის უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით ეთხოვოს სტაციონარული სერვისის მიმწოდებლებს დაწესებულებების ბაზაზე მედიკამენტის გარკვეული მარაგის (არანაკლებ 2 კოლოფისა) შექმნა, ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პაციენტების „ოსელტამივირით“ უზრუნველყოფის მიზნით.

6. დაევალოს ცენტრს მედიკამენტის ბენეფიციარებზე გაცემისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, გატარება და მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიშგების უზრუნველყოფა.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე